შეთანხმება №1

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ №0300/10/370 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ)

ქ. თბილისი 31 იანვარი, 2017 წელი

ერთი მხრივ, **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის - ექსპლუატაციის დირექტორის - გიორგი ხუციშვილის სახით, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2016 წლის 27 სექტემბრის №205 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **შპს „ვაბაკო“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №37, ბ. №221, ფაქტ. მის: ქ. თბილისი, ზაზა ბენდელიანის ქ. კორპ. №1, ბინა №2), წარმოდგენილი - დირექტორის სოსო ფიფიას სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), შემდგომში ორივე ერთად წოდებული, როგორც მხარეები, **Vabaco HCM სისტემის პროგრამულპროდუქტში კომპანიის განსაზღვრული კატეგორიის პერსონალის მიერ ღამის საათებში შესრულებული სამუშაოს აღრიცხვისა და სახელფასე დანამატის გამოთვლა-დარიცხვის ლოგიკის შემუშავებისა და დანერგვის მომსახურების (CMR170002778)** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ (ს/ნ 202886788) და **შპს „ვაბაკოს“** (ს/ნ 406102275) შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ №0300/10/370 ხელშეკრულების მე-10 პუნქტის შესაბამისად, **შპს „ვაბაკოს“** 2017 წლის 18 იანვრის №61-02 წერილის (კომპანიაში რეგისტრაციის ნომერი: №341/01), შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორის მოადგილის 2017 წლის 26 იანვრის №2013-01 წერილისა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის” 2017 წლის 30 იანვრის დირექტორატის სხდომის №6 ოქმის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ №0300/10/370 ხელშეკრულების მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „4.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან - 2017 წლის 20 თებერვლის ჩათვლით“.
2. შევიდეს ცვლილება 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ №0300/10/370 ხელშეკრულების მე-16 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 22 მარტის ჩათვლით“.
3. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ №0300/10/370 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომლის თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მხარეებთან.

„შემსყიდველი“
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“

გიორგი ხუციშვილი
გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე -
ექსპლუატაციის დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ვაბაკო“

სოსო ფიფია
დირექტორი